

უარის მოხსენება
(წერილი რედაქციისადმი)
(1910 წელი, „სახალხო გაზეთი“ #36)

ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდგან წინადადებას აძლევს ქართველს საზოგადოებას იუბილური გამიმართონ. თანაც დასძენს: როგორც ჩვენ ვიცით გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვისო; მაგრამ მან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებასაო.

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწყეს წერა ჩემის 35 წლის იუბილურის გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვაცხადე და ასე დავასაბუთე: ჯერ ქართულის ლიტერატურის იალბუზებს გაუმართეთ ღირსეული იუბილური და მერმე სერების იუბილური იფიქრეთ მეთქი.

მასუკან ერთს იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილური გაუმართა; მაგრამ მეორე იალბუზს ქართველმა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩააკვირდით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიქიურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილურის გამართვაზე.

ამას გარდა, ორმოცდა ხუთმა წელმა ჩემი მოღვაწეობისამ უკვე განვლო, ორმოც და ათამდე კი კიდევ კაი მანძილია, ხოლო რუსეთის „პროგრესი“ ისე უდრეკელად მიისწრაფება წინ, რომ, ვგონებ, ხუთი წლის შემდეგ ყოველ გვარი იუბილური აკრძალული იქნება, გარდა პურიშკევიჩის და ვალია მარკოვის იუბილურისა.

პიროვნებას რომ გზა ავუქციოთ და პრინციპიალურის თვალსაზრისით შევხედოთ საგანსა, უნდა ვაღიაროთ, რომ იქნება არსად არ იყოს ისე საჭირო იუბილურების გამართვა, როგორც ჩვენს სამშობლოში. იუბილური საზოგადო მოღვაწეს მეტად ამხნეებს, ძალას უმატებს და მეტს აკეთებინებს, ვიდრე იგი გააკეთებდა უამისოდ. თვითონ საზოგადოებაზედაც ჩინებული აღმზრდელი გავლენა აქვს: აჩვენებს მას საქვეყნო მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებას, უძლიერებს თანაგრძნობას ამგვარის მოღვაწეობისადმი, და, რაც უფრო ძვირფასია, ყმაწვილთა წრეში ჰბადავს და აღორძინებს მისწრაფებას - თავისი ძალ-ღონე მოანდომოს და შესწიროს საქვეყნო საქმეებსა, რასაც მოსდევს ისეთი დაუფასებელი ზნეობრივი ჯილდო, როგორც არის საერთო გამოცხადება პატივისცემისა იუბილურის საშუალებით.

ამის გამო, ქართველი საზოგადოება კარგად იქცევა, როცა ბოლო წლებში ხშირად მართავს იუბილეებსა. ჩემს შესახებ კი ვთხოვ დიდი თხოვნით, ტყვილად ნურას შესწუხდება.

ტექსტი ციფრული ვერსია მოამზადა: ნონა წოწორიამ

სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა

9 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში